ა(ა)იპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დასაქმებული პირების მიერ ამავე უნივერსიტეტში დასაქმებული სხვა პირების პერსონალური მონაცემების გასაჯაროებისგან დაცვის შესახებ

,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის, უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2012 წლის 6 ნოემბრის №235/ნ ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის, უნივერსიტეტის შინაგანაწესის საფუძველზე,

ვბრძანებ

1. დაუშვებელია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დასაქმებული პირების მიერ, ამავე უნივერსიტეტში დასაქმებული სხვა პირების პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის (პირის მაიდენტიფიცირებელი ნებისმიერი ინფორმაციის: ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნით) ნებისმიერი ფორმით განდობა მესამე პირებისთვის ან მათი გასაჯაროება, მონაცემის სუბიექტის პირადი, დადასტურებული თანხმობის გარეშე.

2. უნივერსიტეტში დასაქმებული პირის მიმართ, რომელმაც მესამე პირისთვის განდობის ან სხვა ფორმით გასაჯაროების გზით დაარღვია ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა, უნივერსიტეტის შინაგანაწესის და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამოყენებული იქნება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, რაც გულიხხმობს ასევე ამ პირის შესაძლო გათავისუფლებას დაკავებული თანამდებობიდან.

3. იმ შემთხვევაში თუ ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა დაირღვა და ვერ ხერხდება კონკრეტული პირის იდენტიფიცირება, მაგრამ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად ვლინდება უნივერსიტეტის რომელიმე სტრუქტურული ერთეულის თანამშორომლების ერთობლივი ბრალეულობა, დისციპლინური ზომები გამოყენებულ იქნება მთლიანად სტუქტურული ერთეულის მიმართ.
4. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
5. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, მიაწოდოს ბრძანების ასლები უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

ზურაბ ჯავახიშვილი